

სს „ვენჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31
დეკემბერს

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	6
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	7
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	9

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....	10
2. მომზადების საფუძვლები	10
3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა.....	11
4. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები.....	15
5. წინა პერიოდის რეკლასიფიკაციები	16
6. ფინანსური ხარჯი.....	16
7. ფინანსური შემოსავალი.....	16
8. მოგება შეწყვეტილი ოპერაციებიდან	17
9. ძირითადი საშუალებები	18
10. გაცემული სესხები	19
11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	19
12. მარაგები.....	20
13. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	20
14. სააქციო კაპიტალი	20
15. სხვა რეზერვები	20
16. მიღებული სესხები	21
17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	22
18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	22
19. პირობითი ვალდებულებები	23
20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	25

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

სს „ვენჯორჯიას“ აქციონერებსა და ხელმძღვანელობას

უარი მოსაზრების გამოთქმაზე

ჩვენ დაგვიქირავეს სს „ვენჯორჯიას“ (შემდგომში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩასატარებლად, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე, აღნიშნული თარიღით დამთავრებული სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენ არ გამოვთქვამთ მოსაზრებას კომპანიის თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენი დასკვნის - "მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი" - ნაწილში აღწერილი საკითხების მნიშვნელობის გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართული ფინანსური ანგარიშგების შესახებ აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას აქვს მოკლევადიანი და გრძელვადიანი სავაჭრო და სხვა მოთხოვნები დაკავშირებული მხარეების მიმართ, საიდანაც 4,690,029 ლარის ამორტიზებული ღირებულების (ნომინალური ღირებულება: 5,605,521 ლარი) მოთხოვნის გაუფასურებასთან დაკავშირებით ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და აუცილებელი აუდიტორული მტკიცებულებები. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში, აგრეთვე სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში.

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, შეწყვეტილ ოპერაციებში აღრიცხული ამონაგების დასადასტურებლად შევამოწმეთ კომპანიის პირველადი დოკუმენტაცია, მათ შორის საცალო რეალიზაციების დასადასტურებლად სალარო აპარატების ფისკალური მანქანები. შედარებისას გამოვლინდა, რომ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი ამონაგები აჭარბებდა ფისკალური მონაცემების მიხედვით დათვლილ შემოსავლებს 445,409 ლარის ოდენობით (2022 წელი: 1,947,329 ლარის ოდენობით). კომპანიის საბუღალტრო ჩანაწერების ბუნებიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება მოცემულ სხვაობასთან დაკავშირებით. ამიტომ ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა, რაიმე კორექტირების შეტანა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, შეწყვეტილ ოპერაციებში ამონაგებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიამ არ ჩაატარა მარაგების ინვენტარიზაცია. სხვა ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ შევძელით მიგვეღო საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულება მარაგების რაოდენობაზე და მდგომარეობაზე, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებაში 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილია 3,437,062 ლარით. ჩვენი აუდიტორული მოსაზრება 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაზე მოდიფიცირებულია. მოდიფიცირებულია აგრეთვე ჩვენი მოსაზრება მიმდინარე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაზეც, ამ საკითხის გავლენის ან შესაძლო გავლენის გამო მიმდინარე პერიოდის ციფრებისა და შესაბამისი ციფრების შესადარისობაზე.

კომპანიას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ფული და ფულის ეკვივალენტების კლასიფიკაციით წარდგენილი აქვს „ფული გზაში“ 2022 წლის 31 დეკემბრისთვის, საიდანაც 412,296 ლარის ღირებულების ნაშთთან დაკავშირებით ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება. კომპანიის საბუღალტრო ჩანაწერების ბუნებიდან გამომდინარე ვერც ალტერნატიული პროცედურებით შევძელით მტკიცებულებების მოპოვება. ჩვენი აუდიტორული მოსაზრება 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდის ფინანსურ

ანგარიშგებაზე მოდიფიცირებულია. მოდიფიცირებულია აგრეთვე ჩვენი მოსაზრება მიმდინარე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაზეც, ამ საკითხის გავლენის ან შესაძლო გავლენის გამო მიმდინარე პერიოდის ციფრებისა და შესაბამისი ციფრების შესადარისობაზე.

როგორც მე-19 შენიშვნაშია მოცემული, კომპანია 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოადგენს თანამსესხებელს თავისი დაკავშირებული მხარეების მიერ ფინანსური ინსტიტუტისგან მიღებულ სესხებზე. 2023 წლის 31 დეკემბრით აღნიშნული სესხების ჯამური თანხა შეადგენს 48,741,317 ლარს. თანამსესხებლობის პასუხისმგებლობა გულისხმობს, რომ იმ შემთხვევაში, თუ დაკავშირებული მხარეები ვერ უზრუნველყოფენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაკმაყოფილებას, კომპანია შესაძლოა გახდეს ვალდებული გადაიხადოს სესხის თანხა. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ აღნიშნულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით კომპანიას არ წარმოექმნება მატერიალური დანაკარგი, რასთან დაკავშირებითაც ხელმძღვანელობისგან ვერ მივიღეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები. შედეგად ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ანარიცხებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

კომპანია არის თავდები დაკავშირებული მხარეების მიერ ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებულ სესხებზე ჯამურად 48,741,317 ლარის ოდენობით, ასევე, კომპანიას აქვს უარყოფითი ლიკვიდურობის სხვაობა (სხვაობა მოკლევადიან აქტივებსა და მოკლევადიან ვალდებულებებს შორის) 3,828,146 ლარის ოდენობით, კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი სავაჭრო და სხვა მოთხოვნები დაკავშირებული მხარეების მიმართ, საიდანაც 4,690,029 ლარის ამორტიზებული ღირებულების (ნომინალური ღირებულება: 5,605,521 ლარი) მოთხოვნა არ არის შეფასებული გაუფასურებაზე. კომპანიამ 2023 წელს სრულად გაასხვისა თავისი ძირითადი საოპერაციო საქმიანობა დაკავშირებულ მხარეზე (შენიშვნა 8). ზემოაღნიშნული მოვლენები მიუთითებს, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა განაგრძოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. როგორც ფინანსური ანგარიშგების მე-2 შენიშვნაშია განმარტებული, კომპანიის ხელმძღვანელობა მიზანშეწონილად მიიჩნევს „ფუნქციონირებადი საწარმოს“ დაშვებას და ამ დაშვების საფუძველზე წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარმოდგენას, თუმცა ხელმძღვანელობამ ვერ შეძლო საკმარისი აუდიტორული მტკიცებულებების წარმოდგენა თავისი სამომავლო გეგმების გასამყარებლად. ყოველივე ამის შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით იმის განსაზღვრა, მიზანშეწონილი იყო თუ არა ხელმძღვანელობის მიერ „ფუნქციონირებადი საწარმოს“ დაშვება.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელზეც პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა და რომელიც შეიტანება მმართველობის ანგარიშგებაში, არ გვქონდა მიღებული აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას. სავარაუდოდ, მმართველობის ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩავატაროთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და გავცეთ აუდიტორის დასკვნა. თუმცა, ჩვენი დასკვნის “მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი” ნაწილში აღწერილი საკითხების გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული ადრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის დასკვნაში წარმოდგენილ შედეგებზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი:



დავით დარსაველიძე (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-735032)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

4 მარტი 2025

სს „ვენჯორჯია“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	შენიშვნა	2023	2022*
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(13,530)	-
სხვა ხარჯები		(28,041)	-
მოგება საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან, წმინდა		-	7,771,834
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		(41,571)	7,771,834
ფინანსური ხარჯი	6	(1,219,671)	(2,073,881)
ფინანსური შემოსავალი	7	1,244,945	2,349,695
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		(16,297)	8,047,648
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
მთლიანი სრული (ზარალი)/მოგება განგრძობითი ოპერაციებიდან		(16,297)	8,047,648
მოგება შეწყვეტილი ოპერაციებიდან	8	4,142,601	4,577,380
მთლიანი სრული შემოსავალი		4,126,304	12,625,028

(*) კომპანიამ ხელახლა წარადგინა 2022 წლის სრული შემოსავლის ანგარიშგება და განახლა ყველა განმარტებითი შენიშვნა, რომელიც დაკავშირებულია 2022 წელს განგრძობითი ოპერაციებიდან წარმოქმნილ ამონაგებთან და გაწეულ ხარჯებთან. შეწყვეტილი ოპერაციების წმინდა შედეგი წარმოდგენილია ყველა საანგარიშო პერიოდისთვის, რომელიც მოცემულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, 2025 წლის 4 მარტს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

გ. გვეტაძე

მთავარი ბუღალტერი

შ. ხადურია

სს „ვენჯორჯია“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	შენიშვნა	2023	2022*
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(13,530)	-
სხვა ხარჯები		(28,041)	-
მოგება საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან, წმინდა		-	7,771,834
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		(41,571)	7,771,834
ფინანსური ხარჯი	6	(1,219,671)	(2,073,881)
ფინანსური შემოსავალი	7	1,244,945	2,349,695
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		(16,297)	8,047,648
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
მთლიანი სრული (ზარალი)/მოგება განგრძობითი ოპერაციებიდან		(16,297)	8,047,648
მოგება შეწყვეტილი ოპერაციებიდან	8	4,142,601	4,577,380
მთლიანი სრული შემოსავალი		4,126,304	12,625,028

(*) კომპანიამ ხელახლა წარადგინა 2022 წლის სრული შემოსავლის ანგარიშგება და განახლა ყველა განმარტებითი შენიშვნა, რომელიც დაკავშირებულია 2022 წელს განგრძობითი ოპერაციებიდან წარმოქმნილ ამონაგებთან და გაწეულ ხარჯებთან. შეწყვეტილი ოპერაციების წმინდა შედეგი წარმოდგენილია ყველა საანგარიშო პერიოდისთვის, რომელიც მოცემულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, 2025 წლის 4 მარტს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი



Handwritten signature of G. Gvishiani

გ. გვიშიაძე

შ. ხადურია

სს „გენჯორჯია“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	-	11,622,078
არამატერიალური აქტივები		2,061	615,404
გაცემული სესხები	10	1,720,907	1,122,833
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	11,074,166	-
		12,797,134	13,360,315
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	12	-	3,437,062
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	1,692,300	3,162,083
ფული და ფულის ეკვივალენტები	13	1,683	787,742
		1,693,983	7,386,887
სულ აქტივები		14,491,117	20,747,202
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	14	3,069,683	3,069,683
დაგროვილი ზარალი		(4,666,569)	(8,792,873)
სხვა რეზერვი	15	7,499,732	5,614,148
სულ კაპიტალი		5,902,846	(109,042)
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	16	3,066,142	5,583,416
		3,066,142	5,583,416
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17	1,223,322	4,862,073
მიღებული სესხები	16	4,298,807	10,410,755
		5,522,129	15,272,828
სულ ვალდებულებები		8,588,271	20,856,244
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		14,491,117	20,747,202

10 – 25 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „ვენჯორჯია“

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	სააქციო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სხვა რეზერვები	სულ
31.12.2021	3,069,683	(21,417,901)	8,027,205	(10,321,013)
სხვა რეზერვები	-	-	(2,413,057)	(2,413,057)
მთლიანი სრული მოგება	-	12,625,028	-	12,625,028
31.12.2022	3,069,683	(8,792,873)	5,614,148	(109,042)
სხვა რეზერვები	-	-	1,885,584	1,885,584
მთლიანი სრული მოგება	-	4,126,304	-	4,126,304
31.12.2023	3,069,683	(4,666,569)	7,499,732	5,902,846

სს „ვენჯორჯია“

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მთლიანი სრული შემოსავალი		4,126,304	12,625,028
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		970,715	1,288,326
ფინანსური ხარჯი	6	1,219,671	2,073,881
ფინანსური შემოსავალი	7	(1,244,945)	(2,349,695)
დებიტორული დავალიანების აღდგენა, წმინდა		(47,158)	(87,450)
ზარალი საკუროსო სხვაობიდან, წმინდა		173,709	243,180
გაუფასურებული ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების ჩამოწერა		-	202,603
მოგება საინვესტიციო ქონების გასვლიდან, წმინდა		-	(7,771,834)
მოგება ძირითადი საშუალებების გასვლიდან, წმინდა		-	(507,976)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		5,198,296	5,716,063
მარაგების შემცირება/(ზრდა)		2,397,949	(755,953)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება/(ზრდა)		1,325,695	(2,285,378)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების შემცირება		(3,637,538)	(754,951)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები		5,284,402	1,919,781
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(123,187)	(345,304)
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია		2,721,694	508,562
საინვესტიციო ქონების რეალიზაცია		-	12,134,729
არამატერიალური აქტივების შეძენა		-	(23,477)
სესხის გაცემა		(8,516,623)	(1,778,250)
გაცემული სესხის ძირის მიღება		2,202,000	528,393
გაცემული სესხის პროცენტის მიღება		1,530	-
საინვესტიციო საქმიანობაში (გამოყენებული)/მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		(3,714,586)	11,024,653
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხის მიღება		18,438,054	2,665,730
სესხის ძირის გადახდა		(19,872,783)	(11,467,035)
მიღებული სესხების პროცენტის გადახდა		(920,837)	(3,730,862)
საფინანსო საქმიანობისთვის გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(2,355,566)	(12,532,167)
ფულადი სახსრების ზრდა/(შემცირება), წმინდა		(785,750)	412,267
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	13	787,742	375,908
ფულადი სახსრების გადაფასებიდან მიღებული შედეგი		(309)	(433)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	13	1,683	787,742

1. ზოგადი ინფორმაცია

სს „ვენჯორჯია“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2011 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიამ საოპერაციო საქმიანობა დაიწყო 2015 წელს. 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100%-იან მფლობელს წარმოადგენს „გლობალ ინვესტორს ლიმიტედ“ (რეგისტრირებულია მალტაში ნომრით - C38646). კომპანიის ბენეფიციარ მფლობელებს წარმოადგენენ სამსონ ფხაკაძე (აქციების 50%-ის მფლობელი) და ლევან ფხაკაძე (აქციების 50%-ის მფლობელი).

2023 წლის სექტემბრამდე სს „ვენჯორჯია“ წარმოადგენდა სწრაფი კვების რესტორნების ქსელს, რომელიც მომხმარებელს სთავაზობდა ბურგერებს, სასმელს, დესერტს და სხვა. კომპანია ოპერირებდა ვენდის გლობალ რესტორნისგან (Wendy's Global Restaurants) მიღებული ფრანშიზის უფლებით. 2023 წელს კომპანიის დამფუძნებლებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ სს ვენჯორჯიას შეეწყვიტა სარესტორნო საქმიანობა, შედეგად კომპანიამ 2023 წლის სექტემბერში ყველა რესტორნის მფლობელობა და მასთან დაკავშირებული აქტივები და ვალდებულებები გადასცა დაკავშირებულ მხარეს შპს „ვ-ჯეო რესტორნებს“, რომელმაც გააგრძელა კომპანიის სარესტორნო საქმიანობა. 2023 წლის სექტემბრის შემდგომ კომპანიის საოპერაციო საქმიანობაა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების მართვა.

კომპანიის იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ჭავჭავაძის 74ბ. კომპანია რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ და მისი საიდენტიფიკაციო ნომერია 404885335.

2. მომზადების საფუძვლები

მომზადების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

წარდგენის საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს მსს ფასს სტანდარტების შესაბამისად მომზადება, რომელიც შეესაბამება საქართველოში არსებული საკანონმდებლო მოთხოვნებს.

ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ების შესაბამისად მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობასა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განაგრძონ კომპანია. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის.

ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენებისას, ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის საქმიანობა, მიზნები და სტრატეგია, ძირითადი რისკები და განუსაზღვრელობა მისი მიზნების მისაღწევად და შესასრულებლად.

კომპანიის ხელმძღვანელობას აქვს გონივრული მოლოდინი, რომ კომპანიას, მთლიანობაში, აქვს საკმარისი რესურსი, ფუნქციონირების გასაგრძელებლად, ფინანსური ანგარიშგების გამოშვებიდან 12 თვის განმავლობაში. ხელმძღვანელობისთვის არ არის ცნობილი რაიმე არსებითი განუსაზღვრელობა, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი საფრთხე შეუქმნას კომპანიის შესაძლებლობას, გააგრძელოს ფუნქციონირება პროგნოზირებად მომავალში.

3. არსებითი საადრიცხო პოლიტიკა**ოპერაციები უცხოურ ვალუტაში**

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთა შორის სხვაობები აისახება პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8068	2.9306
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894	2.9753

ფინანსური ინსტრუმენტები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. კომპანია მომსახურებას გასწევს შემდეგი გადახდის სტანდარტული საკრედიტო პირობებით. მოთხოვნებს არ ერიცხება სარგებელი. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, კომპანია აფასებს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებებს, რათა განსაზღვროს, ხომ არ არსებობს აქტივის გაუფასურების რაიმე ობიექტური მტკიცებულება. გაუფასურების შემთხვევაში გაუფასურების ზარალი აღიარდება ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (მოიცავს გარიგების ხარჯებს). სავაჭრო ვალდებულებებს არ ერიცხება სარგებელი. პროცენტიანი ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დანეტება

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშსწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთდროულად.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დანეტება

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშსწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთდროულად.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც კონტრაქტიდან წარმომდგარი ფულადი ნაკადების მიღების უფლება იწურება, ან ეს უფლება კონტრაქტის საფუძველზე გადაეცემა სხვა მხარეს მფლობელობის უფლებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელთან ერთად. ნებისმიერი წილი გადაცემულ ფინანსურ აქტივში, რომელიც უნარჩუნდება კომპანიას, მის მიერ აღიარდება, როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)**ფული და ფულის ეკვივალენტები**

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, ფულს გზაში, დეპოზიტებს და ფასიან ქაღალდებს რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია ყოველგვარი საკონტრაქტო დატვირთვებისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთას და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
ძირითადი საშუალება	
შენობა-ნაგებობები	5-20
ტექნიკური აღჭურვილობა	5-11
ავტო და ოფისის აღჭურვილობა	3-6
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	9-20
რესტორნის აღჭურვილობა	3-10

ძირითადი საშუალებების სარემონტო დანახარჯები აღიარდება პერიოდის ხარჯებად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ისინი აკმაყოფილებენ კაპიტალური დანახარჯების კრიტერიუმებს.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა. რისი შედეგის ასახვაც ხდება პერსპექტიულად. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება და საბალანსო ღირებულებასთან შედარება. გაუფასურების დანახარჯის აღიარება ხდება პერიოდის საოპერაციო ხარჯებში იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება „ფიფო“ - პირველი შემოსავალში, პირველი გასავალში, ღირებულებით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

გადასახადები

2017 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. მოგების გადასახადის შესახებ ცვლილება ითვალისწინებს მოგების გადასახადით დაბეგვრას მოგების განაწილების დროს. საგადასახადო განაკვეთი წარმოადგენს კვლავ 15%-ს. მოგების გადასახადით მოხდება არა წლიური შედეგების, არამედ ყოველთვიური შედეგის დაბეგვრა. მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, 2016 წლის 1-ლი იანვრის შემდგომ პერიოდში კომპანია ყველა გადასახადს იხდის ერთიან საბაზისო კოდეზს. შედეგად, კომპანიის საგადასახადო აქტივები და ვალდებულებების წარდგენილია ურთიერთგადახურვის საფუძველზე.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

სააქციო კაპიტალი

კომპანიის სააქციო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

სხვა რეზერვები

კომპანიის სხვა რეზერვები წარმოქმნილია დაკავშირებული მხარეების მიმართ არსებული გრძელვადიანი ვალდებულებების, მოთხოვნების და დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სესხების დისკონტირების ეფექტით. აღნიშნული ოპერაციები მიჩნეულია, როგორც დამფუძნებელთან განხორციელებული ოპერაციები.

ამონაგები

ამონაგების განსაზღვრა ხდება მომსახურების გაწევიდან ან/და საქონლის რეალიზაციიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. ამონაგები წარმოდგენილია ფასდაკლებების გამოკლებით. კომპანია ამონაგებს აღიარებს, როცა შემდეგი პირობებია შესრულებული:

- ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ;
- მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;
- შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს; და
- შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესასრულებლად საჭირო მომავალი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

სხვა შემოსავალი

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. ეს კრიტერიუმები ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, როდესაც პროდუქცია გადაეცემა მყიდველს, ხოლო როდესაც მყიდველს გააჩნია საქონლის უკან დაბრუნების უფლება, კომპანია გადაავადებს შემოსავლის აღიარებას იმ დრომდე, სანამ საქონლის უკან დაბრუნების ვადა არ ამოიწურება.

ხარჯების აღიარება

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

ხარჯები აღიარდება შესაბამისი სარგებლის აღიარების პროპორციულად.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ხარჯი საოპერაციო იჯარიდან

კომპანია ქირაობს ფართებს თავისი საოპერაციო საქმიანობის განსახორციელებლად და აკლასიფიცირებს, როგორც საოპერაციო იჯარას. საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მიღების სპეციფიკას.

თანამშრომელთა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და თანამშრომლებისთვის გაცემული სხვა არა-ფულადი სარგებელი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც ხდება თანამშრომელთა მიერ კომპანიისთვის მომსახურების გაწევა.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

ვალდებულების წარმომშობი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- კანონმდებლობიდან; ან
- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:

- წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიაჩნის სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ანგარიშგების შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

შეწყვეტილი ოპერაციები

შეწყვეტილი ოპერაცია არის კომპანიის კომპონენტი, რომელიც გაიყიდა ან კლასიფიცირებულია, როგორც გასაყიდად გამოზნული და:

- ა) წარმოადგენს საწარმოს განცალკევებულ ძირითად საქმიანობას ან ოპერაციების გეოგრაფიულ არეალს;
 - ბ) არის განცალკევებული ძირითადი საქმიანობის ან ოპერაციების გეოგრაფიული არეალის გაყიდვის ერთიანი კოორდინირებული გეგმის ნაწილი; ან
 - გ) არის კონკრეტულად შემდგომი გაყიდვის მიზნით შეძენილი შვილობილი საწარმო.
- კომპანია ამჟღავნებს შეწყვეტილ ოპერაციებთან დაკავშირებით შემდეგ ინფორმაციას:
- ა) სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ერთიანი თანხა, რომელიც შედგება შემდეგი სიდიდეების ჯამისაგან:
 - (i) შეწყვეტილი ოპერაციების შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი დაბეგვრის შემდეგ; და
 - (ii) დაბეგვრის შემდგომი შემოსულობა ან ზარალი, რომელიც აღიარებულია გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულების შეფასებასთან დაკავშირებით, ან შეწყვეტილი ოპერაციების შემადგენელი აქტივების ან გამსვლელი ჯგუფ(ებ)ის გასვლასთან დაკავშირებით; და
 - ბ) (ა) პუნქტით განსაზღვრული მთლიანი თანხის ანალიზი, შემდეგი ელემენტების მიხედვით:
 - (i) შეწყვეტილი ოპერაციებიდან გამომდინარე ამონაგები, ხარჯები და დაბეგვრამდელი მოგება ან ზარალი;
 - (ii) შესაბამისი მოგებიდან გადასახადის ხარჯი;
 - (iii) შემოსულობა ან ზარალი, რომელიც აღიარებულია გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულების შეფასებასთან, ან შეწყვეტილი ოპერაციების შემადგენელი აქტივების ან გამსვლელი ჯგუფ(ებ)ის გასვლასთან დაკავშირებით;
 - (iv) შესაბამისი მოგებიდან გადასახადის ხარჯი;

4. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანიას შემუშავებული აქვს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მომავალი პერიოდებისთვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია. კომპანია ახდენს შეფასებებისა და დაშვებების გადახედვას საწარმოს ფუნქციონირებადობის საფუძველზე. სააღრიცხვო შეფასების გადასინჯვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შეფასება იქნა გადახედილი, თუ აღნიშნული ეხება მხოლოდ ამ პერიოდს; ან გადასინჯვისა და მომავალ პერიოდებში, თუ გადახედვა ეხება ორივე, მიმდინარე და მომავალ პერიოდებს.

ძირითადი შეფასებები და დაშვებები

დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციების საწყისი აღიარება. ჩვეულებრივი საქმიანობის დროს კომპანია აწარმოებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. მსს ფასს მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყისი აღიარებას მათი სამართლიანი ღირებულების საფუძველზე. გადაწყვეტილება მიიღება იმის განსაზღვრით, არის თუ არა ტრანზაქციები შეფასებული საბაზრო თუ არასაბაზრო საპროცენტო განაკვეთებით, სადაც არ არის აქტიური ბაზარი ასეთი ოპერაციებისთვის. მოსაზრების საფუძველს წარმოადგენს ოპერაციათა ანალოგიური სახეობის ფასწარმოქმნა არადაკავშირებულ მხარეებთან და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზი.

5. წინა პერიოდის რეკლასიფიკაციები

კომპანიის დამფუძნებლების გადაწყვეტილებით, კომპანიამ 2023 წელს შეწყვიტა ძირითადი საოპერაციო (სარესტორნო) საქმიანობა. შედეგად კომპანიამ ხელახლა, შეწყვეტილი ოპერაციების კლასიფიკაციის ქვეშ, წარადგინა შემოსავლები და ხარჯები, რომლებიც წინა პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი იყო, როგორც განგრძობითი ოპერაციებიდან მიღებული შედეგი. სრული შემოსავლის ანგარიშგებაზე რეკლასიფიკაციის ეფექტი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	წინა პერიოდში წარდგენილი 2022	რეკლასიფიკაცია	გადაანგარიშებული 2022
ამონაგები	45,513,983	45,513,983	-
სხვა შემოსავალი	8,824,169	1,052,335	7,771,834
მარაგის ხარჯი	(21,040,689)	(21,040,689)	-
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(8,195,801)	(8,195,801)	-
მიწოდების ხარჯები	(2,603,208)	(2,603,208)	-
ცვეთა და ამორტიზაცია	(1,288,326)	(1,288,326)	-
იჯარის ხარჯები	(2,687,789)	(2,687,789)	-
როიალტის ხარჯი	(1,799,239)	(1,799,239)	-
სხვა ხარჯები	(4,130,706)	(4,130,706)	-
ფინანსური ხარჯი/(შემოსავალი), წმინდა	275,814	275,814	-
ფინანსური ხარჯი	-	2,073,881	(2,073,881)
ფინანსური შემოსავალი	-	(2,349,695)	2,349,695
საკუროსო სხვაობიდან მიღებული ზარალი, წმინდა	(243,180)	(243,180)	-
მოგება შეწყვეტილი ოპერაციებიდან	-	(4,577,380)	4,577,380

6. ფინანსური ხარჯი

	2023	2022
ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებულ სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	(761,812)	(1,087,603)
დაკავშირებული მხარეებისგან მიღებულ სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	(457,859)	(986,278)
	(1,219,671)	(2,073,881)

7. ფინანსური შემოსავალი

	2023	2022
დაკავშირებული მხარეებზე გაცემულ სესხებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალი	562,329	158,146
საპროცენტო შემოსავალი დაკავშირებულ მხარეებთან არსებულ გრძელვადიან მოთხოვნებზე	450,045	-
მოგება ვალუტის კურსის ცვლილებიდან, წმინდა	232,571	2,191,549
	1,244,945	2,349,695

სს „ვენჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

8. მოგება შეწყვეტილი ოპერაციებიდან

2023 წელს კომპანიის დამფუძნებლებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ სს ვენჯორჯიას შეეწყვიტა სარესტორნო საქმიანობა, შედეგად კომპანიამ ყველა რესტორნის მფლობელობა და მასთან დაკავშირებული სხვადასხვა აქტივები და ვალდებულებები გადასცა დაკავშირებულ მხარეს შპს „ვ-ჯეო რესტორნებს“, კონკრეტულად:

- მიჰყიდა მის მფლობელობაში არსებული საოპერაციო საქმიანობისთვის საჭირო უძრავ-მოძრავი ქონება სრულად;
- მიჰყიდა არამატერიალური აქტივები;
- გადასცა ყველა რესტორნის მფლობელობა;
- გადასცა მიღებული სესხებისა და სავაჭრო ვალდებულებების ნაწილი;

ასევე, მომწოდებლებთან და მომხმარებლებთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულება უფლებამონაცვლეობის საფუძველზე გადაფორმდა შპს „ვ-ჯეო რესტორნების“ სახელზე.

შეწყვეტილი ოპერაციებიდან მიღებული მოგება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023
ფულადი სახით მისაღები კომპენსაცია*	17,327,548
სხვა სახის კომპენსაცია	-
მთლიანი მისაღები კომპენსაცია	17,327,548
სხვა აქტივების გასვლა, წმინდა (გარდა ფულადი სახსრებისა):	
ძირითადი საშუალებები	11,289,021
არამატერიალური აქტივები,	917,439
მარაგები	1,439,113
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	43,598
	13,689,171
ვალდებულებები	
მიღებული სესხები	1,029,398
სავაჭრო ვალდებულება	826,318
	1,855,716
გასული წმინდა აქტივები	11,833,455
საგადასახადო ხარჯი	-
შეწყვეტილი ოპერაციებიდან მიღებული მოგება**	5,494,093

(*) – 2023 წლის განმავლობაში კომპანიამ მისაღები კომპენსაციიდან ფულადი სახით მიიღო 2,721,694 ლარი.

(**) – აქტივების გაყიდვის შედეგად მიღებული მოგება, როგორც დაკავშირებულ მხარესთან განხორციელებული ტრანზაქცია, ასახულია კაპიტალის მუხლში „სხვა რეზერვების“ კლასიფიკაციის ქვეშ.

სს „ვენეჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

8. მოგება შეწყვეტილი ოპერაციებიდან (გაგრძელება)

სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახული შეწყვეტილი ოპერაციების შედეგი:

	2023	2022
ამონაგები	37,923,942	45,513,983
სხვა შემოსავალი	480,404	1,052,335
მარაგის ხარჯი	(18,865,953)	(21,040,689)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(4,853,448)	(8,195,801)
მიწოდების ხარჯები	(1,447,165)	(2,603,208)
ცვეთა და ამორტიზაცია	(970,715)	(1,288,326)
იჯარის ხარჯები	(2,356,059)	(2,687,789)
როიალტის ხარჯი	(1,491,962)	(1,799,239)
სხვა ხარჯები	(4,102,734)	(4,130,706)
საოპერაციო მოგება	4,316,310	4,820,560
საკუროს სხვაობიდან მიღებული ზარალი, წმინდა	(173,709)	(243,180)
მოგება შეწყვეტილი ოპერაციებიდან	4,142,601	4,577,380

9. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა-ნაგებობები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	რესტორნის აღჭურვილობა	ტექნიკური აღჭურვილობა	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	ჯამი
31.12.2021	4,590,598	5,140,970	3,746,085	5,993,034	3,132,935	2,423,942	25,027,564
შემოსვლა	-	-	-	111,839	188,311	45,154	345,304
გასვლა	-	-	(1,072,238)	(309,944)	(331,142)	(561,135)	(2,274,459)
31.12.2022	4,590,598	5,140,970	2,673,847	5,794,929	2,990,104	1,907,961	23,098,409
შემოსვლა	-	-	-	32,902	70,210	20,075	123,187
გასვლა*	(4,590,598)	(5,140,970)	(2,673,847)	(5,827,831)	(3,060,314)	(1,928,036)	(23,221,596)
31.12.2023	-	-	-	-	-	-	-
დაგროვილი ცვეთა							
31.12.2021	-	(1,586,638)	(2,036,774)	(4,167,599)	(2,371,709)	(2,194,130)	(12,356,850)
ცვეთა	-	(256,253)	(228,102)	(404,826)	(239,343)	(46,943)	(1,175,467)
გასვლა	-	-	922,865	286,336	331,142	515,643	2,055,986
31.12.2022	-	(1,842,891)	(1,342,011)	(4,286,089)	(2,279,910)	(1,725,430)	(11,476,331)
ცვეთა	-	(194,509)	(125,701)	(356,154)	(199,657)	(36,303)	(912,324)
გასვლა*	-	2,037,400	1,467,712	4,642,243	2,479,567	1,761,733	12,388,655
31.12.2023	-	-	-	-	-	-	-
საბალანსო ღირებულება							
31.12.2022	4,590,598	3,298,079	1,331,836	1,508,840	710,194	182,531	11,622,078
31.12.2023	-	-	-	-	-	-	-

31.12.2022 მდგომარეობით კომპანიის ძირითადი საშუალებებით უზრუნველყოფილია ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხები. უზრუნველყოფის საგანს წარმოადგენს მიწა და შენობა-ნაგებობები, საბალანსო ღირებულებით 7,885,532 ლარი. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 16.

(*) - 2023 წლის სექტემბერში კომპანიამ შეწყვიტა სარესტორნო საქმიანობა და ყველა რესტორნის მფლობელობა და მასთან დაკავშირებული აქტივები, მათ შორის საოპერაციო საქმიანობისთვის საჭირო უძრავ-მოძრავი ქონება სრულად გადასცა შპს „ვ-ჯეო რესტორნებს“. დეტალებისთვის იხილეთ მე-8 შენიშვნა.

10. გაცემული სესხები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის გაცემული სესხების ნაშთი მოიცავს დაკავშირებულ მხარეებზე გაცემულ სესხს ღირებულებით 1,720,907 ლარი. (2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 1,122,833 ლარი). გაცემული სესხის ნომინალური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 13.5-14.1%-ს, ხოლო დაფარვის ვადაა არაუგვიანეს 2025 წლის 31 დეკემბერი. 2023 წლის პერიოდში გაცემულ სესხებზე დარიცხულმა საპროცენტო შემოსავალმა შეადგინა 562,329 ლარი (2022: 158,146 ლარი).

2023 წლის 01 მარტსა და 01 ივნისს გაფორმებული შეთანხმებების საფუძველზე კომპანიამ შპს "ვ-ჯეო რესტორნებზე" გასცა სესხი 6,250,450 ლარის ოდენობით, წლიური 13.5%-ით, გაცემული სესხის ვადა განისაზღვრა 2031 წლის 31 დეკემბრით. 2023 წლის 26 სექტემბერს სს ვენჯორჯიასა და შპს ვ-ჯეო რესტორნებს შორის გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე მოხდა აღნიშნული გაცემული სესხის უერთიერთობა შპს ვ-ჯეო რესტორნებისგან მიღებული სესხის ვალდებულებასთან. ურთიერთგადაფარვის მომენტში სესხის ძირი თანხა შეადგენდა 6,250,450 ლარს, ხოლო მასზე დარიცხული საპროცენტო მოთხოვნა 533,392 ლარს.

გაცემული სესხები 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არ არის უზრუნველყოფილი.

11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2023	31.12.2022
ფინანსური მოთხოვნები		
აქტივების რეალიზაციიდან წარმოქმნილი გრძელვადიანი მოთხოვნა*	11,074,166	-
სავაჭრო მოთხოვნები	1,480,513	2,573,609
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	-	(47,158)
არა-ფინანსური მოთხოვნები		
სავაჭრო ავანსები	140,837	627,425
საგადასახადო აქტივი**	70,950	-
გრძელვადიანი აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები	-	8,207
	12,766,466	3,162,083

(*) - 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული 11,074,166 ლარის მოთხოვნის ნაშთი წარმოადგენს გრძელვადიან მოთხოვნას (დაფარვის ვადაა 31.12.2025), რომელიც წარმოიქმნა დაკავშირებულ მხარეზე აქტივების რეალიზაციის შედეგად (შენიშვნა 8 - მოგება შეწყვეტილი ოპერაციებიდან). ეფექტური 13.27% საპროცენტო განაკვეთით დადისკონტირების შედეგად, მოთხოვნის რეალური ღირებულებით საწყისი აღიარების ეფექტმა, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 3,590,079 ლარს. აღნიშნული ეფექტი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასახულია სხვა რეზერვის კლასიფიკაციის ქვეშ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც დაკავშირებულ მხარესთან განხორციელებული ოპერაციების ეფექტი.

(**) - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით 2016 წლის პირველი იანვრიდან ყველა გადასახადის გადახდა უნდა მოხდეს გაერთიანებულ საბაზინო კოდზე. შედეგად, 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია წარადგენს საგადასახადო ვალდებულებისა და საგადასახადო აქტივის ურთიერთგადაფარვით მიღებულ საგადასახადო აქტივს 70,950 ლარის და საგადასახადო ვალდებულებას 651,462 ლარის ოდენობით, შესაბამისად.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის მოძრაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2023	31.12.2022
01 იანვარი	(47,158)	(132,095)
ფინანსური მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის ცვლილება	47,158	84,937
31 დეკემბერი	-	(47,158)

სს „ვენჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

12. მარაგები

	31.12.2023	31.12.2022
ნედლეული	-	2,237,967
სარესტორნო მარაგი	-	1,106,572
საოფისე მარაგი	-	68,148
სათამაშოები	-	4,541
სხვა	-	19,834
	-	3,437,062

13. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31.12.2023	31.12.2022
ფული ბანკში ლარში და სხვა ვალუტებში	1,683	283,167
ფული გზაში*	-	412,296
ფული სალაროში ლარში	-	92,279
	1,683	787,742

(*) - „ფული გზაში“- წარმოადგენს ფულს, რომელიც 31 დეკემბრის მდგომარეობით ჩარიცხულია კომპანიის საბანკო ანგარიშზე, თუმცა მისი ასახვა მოხდება შემდეგ დღეებში.

14. სააქციო კაპიტალი

სააქციო კაპიტალი 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება 2,751,300 ცალი 1 აშშ დოლარის ღირებულების აქციისგან, საიდანაც მხოლოდ 1,690,260 აქციის ღირებულება არის გადახდილი იგივე თარიღების მდგომარეობით.

15. სხვა რეზერვები

სხვა რეზერვები წარმოქმნილია დაკავშირებული მხარეების მიმართ არსებული შეღავათიანი გრძელვადიანი სესხებისა და გრძელვადიანი მოთხოვნების დისკონტირების ეფექტით.

2023 წელს კომპანიამ დაკავშირებულ მხარეებზე გასცა გრძელვადიანი შეღავათიანი სესხი, ჯამური ნომინალური ღირებულებით 1,641,000 ლარი. სესხის დაფარვის ვადაა არაუგვიანეს 2025 წლის 31 დეკემბერი. საწყისი აღიარების დროს აღნიშნული სესხი დადისკონტირდა ეფექტური 13.87-14.04%-ით. საწყისი აღიარების 40,569 ლარის ღირებულების ეფექტი ასახულია სხვა რეზერვებში, როგორც დამფუძნებელთან განხორციელებული ტრანზაქცია.

2023 წელს კომპანიამ შპს ვ-ჯეო რესტორნებს გადასცა სარესტორნო საქმიანობასთან დაკავშირებული აქტივები, რის შედეგადაც წარმოექმნა გრძელვადიანი მოთხოვნა 17,327,548 ლარის ოდენობით. მოთხოვნის დაფარვის ვადაა 31.12.2025. ეფექტური 13.27% საპროცენტო განაკვეთით დადისკონტირების შედეგად, მოთხოვნის რეალური ღირებულებით საწყისი აღიარების ეფექტმა, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 3,590,079 ლარი. აღნიშნული ეფექტი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასახულია დაგროვილი ზარალის კლასიფიკაციის ქვეშ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც დაკავშირებულ მხარესთან განხორციელებული ოპერაციების ეფექტი.

2023 წელს სს ვენჯორჯიასა და შპს ვ-ჯეო რესტორნებს შორის გაფორმდა აქტივების ერთიანი მიწოდების ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში კომპანიამ ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივების რეალიზაციიდან მიიღო მოგება 5,494,093 ლარი (შენიშვნა 8), აღნიშნული თანხა ასახულია სხვა რეზერვში, როგორც დაკავშირებულ მხარესთან განხორციელებული ტრანზაქცია.

2022 წელს კომპანიამ დაკავშირებულ მხარეზე გასცა გრძელვადიანი შეღავათიანი სესხი, ჯამური ნომინალური ღირებულებით 1,464,250 ლარი. აღნიშნული ვალდებულება დადისკონტირებულია 14.1%-ით 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. საწყისი აღიარების 613,576 ლარის ღირებულების ეფექტი ასახულია სხვა რეზერვებში, როგორც დამფუძნებელთან განხორციელებული ტრანზაქცია. 2023 წელს მსესხებელმა სრულად დაფარა გაცემული სესხი, აღნიშნული ტრანზაქციების ჯამურმა ეფექტმა, 547,063 ლარით გაზარდა სხვა რეზერვები.

15. სხვა რეზერვი (გაგრძელება)

2020 წლის 1 იანვარს შპს „ველაჯიოს“ და სს „ვენჯორჯიას“ შორის გაფორმებული შეთანხმების შედეგად შპს „ველაჯიოს“ მიმართ არსებული გრძელვადიანი ვალდებულება სრულად გარდაიქმნა გრძელვადიან სესხად. სესხის ძირისა და მასზე დარიცხული საპროცენტო ვალდებულების გადახდის ვადა შეთანხმების მიხედვით განისაზღვრა, როგორც 2040 წლის 1 იანვარი, ხოლო საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრა როგორც - 8%. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გრძელვადიანი სესხი ნომინალური ღირებულებით 5,710,327 ლარი დადისკონტირდა 7.45% განაკვეთით, აღნიშნული ტრანზაქციების ჯამურმა ეფექტმა, 1,782,782 ლარით შეამცირა სხვა რეზერვები. 2022 წელს მოხდა ამ სესხის პირობების მოდიფიკაცია, სს „ვენჯორჯიამ“ დაფარა სესხის ნაწილი 861,362 ლარი, აღნიშნული ტრანზაქციების ჯამურმა ეფექტმა, 208,230 ლარით შეამცირა სხვა რეზერვები. 2023 წელს მოხდა ამ სესხის პირობების მოდიფიკაცია, სს „ვენჯორჯიამ“ დაფარა სესხის ნაწილი 2,084,470 ლარი, აღნიშნული ტრანზაქციების ჯამურმა ეფექტმა, 524,923 ლარით შეამცირა სხვა რეზერვები.

2020 წელს მოხდა დაკავშირებული მხარეების მიმართ არსებული 11,024,014 ლარის ნომინალური ღირებულების სასესხო ვალდებულებების მოდიფიკაცია. 2020 წელს 23 დეკემბრის შეთანხმების მიხედვით - შპს „ერთობა 2018-ისგან“ მიღებული სესხის ახალი ვადა განისაზღვრა 2026 წლის 1 იანვრით. ახალი შეთანხმების მიხედვით აღნიშნული ვალდებულება დადისკონტირდა 12.7% და 7.36% საპროცენტო განაკვეთით. მოდიფიკაციის ეფექტი 2,256,766 ლარის ღირებულებით ასახულია სხვა რეზერვებში. 2022 წელს კომპანიამ სრულად დაფარა შპს „ერთობა 2018-ისგან“ მიღებული სესხი, აღნიშნული ტრანზაქციების ჯამურმა ეფექტმა, 1,510,216 ლარით შეამცირა სხვა რეზერვები.

ასევე, 2020 წელს კომპანიამ მიიღო გრძელვადიანი სესხები დაკავშირებული მხარეებისგან, ჯამური ნომინალური ღირებულებით 877,664 ლარი. მიღებული სესხების საწყისი აღიარების ეფექტი 123,882 ლარის ოდენობით, 12,86% განაკვეთით დისკონტირების შედეგად, აისახა სხვა რეზერვებში. 2022 წელს კომპანიამ სრულად დაფარა დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სესხი, აღნიშნული ტრანზაქციების ჯამურმა ეფექტმა, 81,035 ლარით შეამცირა სხვა რეზერვები.

16. მიღებული სესხები

		გრძელვადიანი	
		31.12.2023	31.12.2022
საპროცენტო განაკვეთი			
დაკავშირებული მხარე	7%-11.7%	3,066,142	4,571,262
ფინანსური ინსტიტუტები*	LIBOR +5,5%, მაგრამ არა ნაკლებ 8%-ისა	-	1,012,154
		3,066,142	5,583,416
		მოკლევადიანი	
		31.12.2023	31.12.2022
საპროცენტო განაკვეთი			
დაკავშირებული მხარე	9.00%	4,298,807	-
ფინანსური ინსტიტუტები*	LIBOR +5,5%, მაგრამ არა ნაკლებ 8%-ისა	-	10,410,755
		4,298,807	10,410,755

2022 წელს კომპანიამ მიიღო სესხები საქართველოს ბანკისგან. აღნიშნული სესხის მიღება მოხდა შპს „ალმასა“ და სს „საქართველოს ბანკს“ შორის გაფორმებული გენერალური ხელშეკრულების ფარგლებში, რისთვისაც კომპანია გახდა სოლიდარული მოვალე. სოლიდარულ მოვალეობასთან დაკავშირებით არ მომხდარა ნაშთების კორექტირება არაარსებითობიდან გამომდინარე. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს საქართველოს ბანკისგან მიღებული სესხები (საკრედიტო ხაზი) უზრუნველყოფილია კომპანიის უძრავი ქონებით (მათ შორის ძირითადი საშუალებები ღირებულებით - 7,888,677 ლარი. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გენერალური საკრედიტო ხაზის ფარგლებში კომპანიის მიერ მიღებული სესხი, უზრუნველყოფილია შპს „ალმას“ ძირითადი საშუალებებითა და საინვესტიციო ქონებით, ასევე შპს „ალმა პლიუსის“, შპს „ევრაზია ინვესტ გრუპის“, შპს „გლობალ ინვესტორ ლიმიტედის“, სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“, შპს „ველაჯიოს“, შპს „აუთდორ.ჯი“-ს, სს „ლაგუნასა“ და შპს „ზუგდიდი პალასის“ ქონებებით. ამასთანავე, გენერალური საკრედიტო ხაზის თავდებები არიან: ლევან ფხაკაძე, სამსონ ფხაკაძე, ლევან კაჭარავა, შპს „აუთდორ.ჯი“, ხოლო უშუალოდ სს „ვენჯორჯიას“ საკრედიტო ხაზის ქვეხელშეკრულების თავდებია შპს „ვ-ჯეო რესტორნები“.

16. მიღებული სესხები (გაგრძელება)

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით თიბისი ლიზინგისგან მიღებული სესხები უზრუნველყოფილია კომპანიის ძირითადი საშუალებებით ჯამური საბალანსო ღირებულებით 604,740 ლარი. 2023 წელს მოხდა სამხრივი შეთანხმების საფუძველზე თიბისი ლიზინგისგან მიღებული სესხის გადაცემა დაკავშირებული მხარისთვის, შესაბამისად 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას აღარ აქვს თიბისი ლიზინგის მიმართ ვალდებულება.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიამ სს საქართველოს ბანკისგან მიღებულ სესხებთან დაკავშირებით უნდა დააკმაყოფილოს ხელშეკრულებით განსაზღვრული კოვენანტები, დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია 18-ე შენიშვნაში. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ვერ აკმაყოფილებს კოვენანტების ნაწილს, რის გამოც სს საქართველოს ბანკისგან მიღებული სესხები წარდგენილია, როგორც მოკლევადიანი.

17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2023	31.12.2022
ფინანსური ვალდებულებები		
საიჯარო ვალდებულებები	481,370	768,828
გრძელვადიანი აქტივების შემენიდან წარმოქმნილი სხვა ვალდებულებები	376,515	23,388
სავაჭრო ვალდებულებები	365,437	3,418,395
არა-ფინანსური ვალდებულებები		
საგადასახადო ვალდებულებები*	-	651,462
	1,223,322	4,862,073

(*) - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით ყველა გადასახადის გადახდა უნდა მოხდეს გაერთიანებულ სახაზინო კოდექსით. შედეგად, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია წარადგენს საგადასახადო ვალდებულებისა და საგადასახადო აქტივის ურთიერთგაფარვით მიღებულ საგადასახადო აქტივს 70,950 ლარის ოდენობით (იხილეთ მე-11 შენიშვნა), ხოლო 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საგადასახადო ვალდებულებას 651,462 ლარის ოდენობით.

18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები მოიცავს მფლობელებს, საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოებსა და უმაღლეს ხელმძღვანელობაში შემავალ პირებს. როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი. კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული ოპერაციების შედეგები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	კავშირი	31.12.2023	31.12.2022
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	სხვა	12,534,347	2,388,962
გაცემული სესხები	სხვა	1,720,907	1,122,833
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	სხვა	481,370	223,164
მიღებული სესხები	სხვა	7,364,949	4,571,262

18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახული ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	კავშირი	2023	2022
ფინანსური ხარჯი	სხვა	(457,859)	(986,278)
ფინანსური შემოსავალი	სხვა	562,329	158,146
მოგება შეწყვეტილი ოპერაციებიდან:			
ამონაგები	სხვა	2,689,678	2,791,424
სხვა შემოსავალი	სხვა	151,335	8,434,268
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	სხვა	(4,608,199)	-
იჯარის ხარჯები	სხვა	(1,082,886)	(1,182,874)
სხვა ხარჯები	სხვა	(226,803)	(240,370)
უმაღლესი ხელმძღვანელობის მოკლევადიანი შრომის ანაზღაურება	უმაღლესი ხელმძღვანელობა	(22,584)	(202,513)

2023 წელს კომპანიამ დაკავშირებული მხარეებისგან შეიძინა 1,924,085 ლარის ღირებულების მარაგი (2022: 400,381 ლარი). ასევე, 2023 წელს კომპანიამ დაკავშირებული მხარეებისგან შეიძინა 33,884 ლარის ღირებულების ძირითადი საშუალებები (2022: 126,624 ლარი).

19. პირობითი ვალდებულებები

იურიდიული საკითხები

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია მნიშვნელოვანი სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო

საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

მმართველობის ანგარიშგება

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის მიხედვით (პუნქტი 7) კომპანიას აქვს ვალდებულება მოამზადოს და სახელმწიფო მარეგულირებელ ორგანოში წარადგინოს მმართველობის ანგარიშგება, დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად, არაუგვიანეს საანგარიშგებო პერიოდის მომდევნო წლის 1 ოქტომბრისა. ამ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნების თარიღისთვის, კომპანიას არ აქვს შესრულებული აღნიშნული ვალდებულება.

19. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

სესხებთან დაკავშირებული კოვენანტები

სს „საქართველოს ბანკისგან“ მიღებულ სესხებთან დაკავშირებით

- არ უნდა დაუშვას ძირითადი საქმიანობის სფეროს შეცვლა, რეორგანიზაცია (გარდაქმნა, შერწყმა, გაყოფა) ან ლიკვიდაცია ან/და ნებისმიერი მსგავსი რესტრუქტურირება;
- არ დაუშვას საკუთარი აქტივების/ქონების ან მისი/მათი ნაწილის უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენება ან/და სხვაგვარად დატვირთვა ნებისმიერი მესამე პირის სასარგებლოდ;
- ნებისმიერი 12 (თორმეტი) თვიანი პერიოდის განმავლობაში არ განკარგოს ნებისმიერი სახით საკუთარი აქტივი/ქონება (ან მისი/მათი ნაწილი) ან/და შეიძინოს ნებისმიერი მესამე პირის ნებისმიერი სახის აქტივები/ქონება ან მისი/მათი ნაწილი;
- ნებისმიერი 12 (თორმეტი) თვიანი პერიოდის განმავლობაში არ განახორციელოს ინვესტიციები, დაიკისროს რაიმე ვალდებულებები ან/და გაწიოს ხარჯები, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ამგვარი ინვესტიციების, ან/და ხარჯების გაწევა ან/და ვალდებულებების აღება შეესაბამება ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული კრედიტის (ან/და ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა საბანკო პროდუქტების) მიზნობრიობას, ან/და განხორციელებულია კომპანიის ჩვეული საქმიანობის ფარგლებში;
- არ დაიკისროს რაიმე დამატებითი კრედიტები, სესხები ან/და მსგავსი ვალდებულებები;
- ნებისმიერი კალენდარული წლის განმავლობაში არ გასცეს დივიდენდები, ამასთან, დივიდენდების გაცემა კომპანიას შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომპანიის მხრიდან ადგილი არ აქვს ხელშეკრულების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის ან/და ბანკთან გაფორმებული სხვა ნებისმიერი ხელშეკრულებ(ებ)ის ან/და სხვა შეთანხმების დარღვევას ან/და დივიდენდების გაცემით არ იქმნება ამგვარი დარღვევის საშიშროება;
- საკუთარი და მისი შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგება აწარმოოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესებისა და პროცედურების სრული დაცვით, ხოლო ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში, (ა) ამგვარი ანგარიშგების წარმოება უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებს (International Financial Reporting Standards), და (ბ) ფინანსური ანგარიშგების შემოწმება უნდა მოხდეს ბანკისთვის მისაღები აუდიტორის/აუდიტორული კომპანიის მიერ;
- არ დაუშვას ბანკისთვის (მისი თანამშრომლების, წარმომადგენლების ან/და სხვა უფლებამოსილი პირების ჩათვლით) ხელშეკრულებიდან ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი ზიანის (ზარალის) მიყენება ან ხარჯის დაკისრება, რომელიც ბანკს შეიძლება მიადგეს/დაეკისროს კომპანიის, თუ მასთან დაკავშირებული ნებისმიერი მესამე პირის ქმედებისაგან (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ზარალი/ხარჯი გამოწვეულია ბანკის (მისი თანამშრომლების, წარმომადგენლების ან/და სხვა უფლებამოსილი პირების ჩათვლით) დაუდევრობით, სამსახურეობრივი გულგრილობით ან გამიზნული ქმედებით, ხოლო ამგვარი გარემოებების დადგომისას სრულად და ჯეროვნად აუნაზღაუროს ბანკს ნებისმიერი ამგვარი ზიანი (ზარალი), თუ ხარჯი;
- ისარგებლოს მხოლოდ ბანკის პროდუქტებით ან/და მომსახურებით, მათ შორის ერთმნიშვნელოვნად საბანკო ბრუნვის და საბანკო ანგარიშებზე ნაშთის 100 (ასი) % აწარმოოს/იქონიოს მხოლოდ ბანკის მეშვეობით.
- უზრუნველყოს ხელშეკრულებით ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით გათვალისწინებული განცხადებებისა და გარანტიების, ვალდებულებების ან/და სხვა პირობების დაცვა.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ვერ აკმაყოფილებდა ზემოჩამოთვლილი კოვენანტების ნაწილს, რის გამოც 5,391,170 ლარის სასესხო ვალდებულებები წარდგენილია, როგორც მოკლევადიანი ვალდებულებები.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ აქვს ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხების ვალდებულებები.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას აქვს მიღებული სესხები საქართველოს ბანკისგან. აღნიშნული სესხები მიღებულია შპს „ალმასა“ და სს „საქართველოს ბანკს“ შორის გაფორმებული გენერალური ხელშეკრულების ფარგლებში და კომპანია წარმოადგენს სოლიდარულ მოვალეს. სოლიდარულ მოვალეობასთან დაკავშირებით არ მომხდარა ნაშთების კორექტირება არაარსებითობიდან გამომდინარე.

19. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

თანამსესხებლობა

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია წარმოადგენს თანამსესხებელს დაკავშირებული მხარეების ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებულ სესხებზე. 2023 წლის 31 დეკემბრით აღნიშნული სესხების თანხა შეადგენს 48,741,317 ლარს. თანამსესხებლობის პასუხისმგებლობა გულისხმობს, რომ იმ შემთხვევაში, თუ დაკავშირებული მხარეები ვერ უზრუნველყოფენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაკმაყოფილებას, კომპანია შესაძლოა გახდეს ვალდებული გადაიხადოს სესხის თანხა. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ აღნიშნულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით კომპანიას არ წარმოექმნება მატერიალური დანაკარგი.

20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

მიღებული და გაცემული სესხების გადაცემა შპს ვ-ჯეო რესტორნებზე

მიღებული სესხები

2024 წლის 1 იანვარს სს ვენჯორჯიას და შპს ვ-ჯეო რესტორნებს შორის გაფორმდა შეთანხმება, რომლის მიხედვითაც სს ვენჯორჯიამ გადასცა სასესხო ვალდებულებები შპს ვ-ჯეო რესტორნებს, მეორე მხრივ კი წარმოეშვა ვალდებულება შპს ვ-ჯეო რესტორნების მიმართ. გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე მოხდა შემდეგი სასესხო ვალდებულებების გადაცემა:

ა) ლევან ფხაკაძისგან მიღებული სესხი ჯამური ღირებულებით 843,251.36 ლარი (სესხის ძირის ვალდებულება - 265,576.84 აშშ დოლარი და გადასახდელი პროცენტის ვალდებულება - 47,969.44 აშშ დოლარი), დაფარვის ვადა - 2031 წლის 29 ივნისი.

ბ) სამსონ ფხაკაძისგან მიღებული სესხი ჯამური ღირებულებით 641,967.82 ლარი (სესხის ძირის ვალდებულება - 196,640.23 აშშ დოლარი და გადასახდელი პროცენტის ვალდებულება - 42,062.76 აშშ დოლარი), დაფარვის ვადა - 2031 წლის 29 ივნისი.

გ) შპს "ველაჯიო"-სგან მიღებული სესხი ჯამური ღირებულებით 3,351,575.41 ლარი (სესხის ძირის ვალდებულება - 726,867.58 აშშ დოლარი და გადასახდელი პროცენტის ვალდებულება - 519,349.2 აშშ დოლარი), დაფარვის ვადა - 2040 წლის 1 იანვარი.

გაცემული სესხები:

2024 წლის 1 თებერვალს სს ვენჯორჯიასა და შპს ვ-ჯეო რესტორნებს შორის გაფორმდა შეთანხმება, რომლის მიხედვითაც სს ვენჯორჯიამ გადასცა სასესხო მოთხოვნები შპს ვ-ჯეო რესტორნებს, მეორე მხრივ კი წარმოეშვა მოთხოვნა შპს ვ-ჯეო რესტორნების მიმართ. გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე მოხდა შემდეგი სასესხო მოთხოვნების გადაცემა:

ა) შპს "საბჯორჯია"-ზე გაცემული სესხი ჯამური ღირებულებით 105,835.84 ლარი (სესხის ძირი - 100,000 ლარი და სესხის პროცენტის მოთხოვნა - 5,835.84 ლარი), დაფარვის ვადა - 2028 წლის 31 დეკემბერი.

ბ) შპს "კიოსკ ჯორჯია"-ზე გაცემული სესხი ღირებულებით 1,669,419 ლარი (სესხის ძირი - 1,541,000 ლარი და სესხის პროცენტის მოთხოვნა - 128,419 ლარი), დაფარვის ვადა - 2028 წლის 31 დეკემბერი.

ვალდებულების სესხად გარდაქმნა და გადაცემა შპს ვ-ჯეო რესტორნებზე

2024 წლის 1 მაისს გაფორმებული სამმხრივი შეთანხმების საფუძველზე მოხდა კომპანიის გრძელვადიანი აქტივების შეძენიდან წარმოქმნილი სხვა ვალდებულებების სესხად გარდაქმნა 375,886 ლარის ოდენობით და მოვალის ჩანაცვლება, რის შედეგადაც კომპანიას წარმოექმნა მიღებული სესხის ვალდებულება სამსონ ფხაკაძის მიმართ. ამავე დღეს გაფორმებული სამმხრივი შეთანხმების საფუძველზე, მოცემული სესხი კომპანიამ გადასცა შპს ვ-ჯეო რესტორნებს, მეორე მხრივ კი წარმოეშვა ვალდებულება შპს ვ-ჯეო რესტორნების მიმართ.

საიჯარო ვალდებულების გადაცემა შპს ვ-ჯეო რესტორნებზე

2024 წლის 1 იანვარს გაფორმებული სამმხრივი შეთანხმების საფუძველზე სს ვენჯორჯიამ დაკავშირებული მხარის მიმართ არსებული საიჯარო ვალდებულებები ღირებულებით 481,370 ლარის ოდენობით, გადასცა შპს ვ-ჯეო რესტორნებს, რის შედეგადაც წარმოეშვა ვალდებულება შპს ვ-ჯეო რესტორნების მიმართ.

სს ვენჯორჯია

მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023
წლის 31 დეკემბერს

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე	3
საქმიანობის მიმოხილვა	4
განვითარების გეგმები.....	4
საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები.....	4
ინფორმაცია ფილიალების საქმიანობის შესახებ	7
საკუთარი აქციების გამოსყიდვა.....	7
დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ	7
ფინანსური, საოპერაციო და სტრატეგიული რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ	7

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე**სააქციო საზოგადოება ვენჯორჯიას აქციონერებსა და ხელმძღვანელობას**

ჩვენ სს „ვენჯორჯიას“ 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე 2025 წლის 4 მარტს უარი ვთქვით მოსაზრების გამოთქმაზე. 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გაცემული დასკვნის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენებს. ჩვენ არ ჩაგვიტარებია წლიურ ანგარიშში ასახული იმ მოვლენების შედეგების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ 2023 წლის წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

მმართველობის ანგარიშგებასთან დაკავშირებით ჩვენი სამუშაო შემოიფარგლებოდა იმით, რომ განგვესაზღვრა შეიცავს თუ არა მმართველობის ანგარიშგება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნებს. ჩვენი აზრით, მხოლოდ ამ პროცედურებზე დაყრდნობით:

- მმართველობის ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, თანხვედრაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას;

სს „ვენჯორჯიას“ 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნაში, ჩვენი მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძვლის ნაწილში აღწერილი საკითხების მნიშვნელობიდან გამომდინარე, ჩვენ არ გვაქვს შესაძლებლობა, აზრი გამოვთქვათ მმართველობის ანგარიშგებაში არსებობს თუ არა არსებითი უზუსტობა.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

დავით დარსაველიძე (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-735032)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

15 აპრილი 2025

სს ვენჯორჯია

მმართველობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

მმართველობის ანგარიშგება

საქმიანობის მიმოხილვა

სს „ვენჯორჯია“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2011 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიამ საოპერაციო საქმიანობა დაიწყო 2015 წელს. 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100%-იან მფლობელს წარმოადგენს „გლობალ ინვესტორს ლიმიტედ“ (რეგისტრირებულია მალტაში ნომრით - C38646). კომპანიის ბენეფიციარ მფლობელებს წარმოადგენენ სამსონ ფხაკაძე (აქციების 50%-ის მფლობელი) და ლევან ფხაკაძე (აქციების 50%-ის მფლობელი).

2023 წლის სექტემბრამდე სს „ვენჯორჯია“ წარმოადგენდა სწრაფი კვების რესტორნების ქსელს, რომელიც მომხმარებელს სთავაზობდა ბურგერებს, სასმელს, დესერტს და სხვა. კომპანია ოპერირებდა ვენდის გლობალ რესტორნისგან (Wendy's Global Restaurants) მიღებული ფრანშიზის უფლებით. 2023 წელს კომპანიის დამფუძნებლებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ სს ვენჯორჯიას შეეწყვიტა სარესტორნო საქმიანობა, შედეგად კომპანიამ 2023 წლის სექტემბერში ყველა რესტორნის მფლობელობა და მასთან დაკავშირებული აქტივები და ვალდებულებები გადასცა დაკავშირებულ მხარეს შპს „ვ-ჯეო რესტორნებს“, რომელმაც გააგრძელა კომპანიის სარესტორნო საქმიანობა. 2023 წლის სექტემბრის შემდგომ კომპანიის საოპერაციო საქმიანობა წარმოადგენს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების მართვას.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ჭავჭავაძის 74ბ. კომპანია რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ და საიდენტიფიკაციო ნომერია 404885335.

2023 წლის 31 დეკემბერს დაქირავებულ თანამშრომელთა რაოდენობა ვენჯორჯიაში შეადგენდა 12 თანამშრომელს, ხოლო 2022 წელს 600 თანამშრომელს.

განვითარების გეგმები

კომპანიის განვითარების გეგმების უკავშირდება არსებული ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ეფექტიან მართვას.

საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ვენჯორჯიას მთლიანი სრული მოგება ცვეთის ხარჯის გათვალისწინების გარეშე 2023 წელს შეადგენდა 5,245 ათას ლარს, ხოლო 2022 წელს ანალოგიური მაჩვენებელი შეადგენდა 12,625 ათას ლარს.

ლიკვიდურობის კოეფიციენტმა (Current Ratio - მიმდინარე აქტივები/მიმდინარე ვალდებულებებთან) 2023 წელს შეადგინა 0.31, ხოლო 2022 წელს 0.48-ი. აღნიშნული მაჩვენებელი გაუარესებულია, რაც წინა პერიოდისგან განსხვავებით ძირითადად გამოწვეულია მიმდინარე აქტივების შემცირებით.

სს ვენჯორჯია

მმართველობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ინფორმაცია კომპანიის სრული შემოსავლების ანგარიშგების შესახებ მოცემულია ქვემოთ:

	2023	2022*
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(13,530)	-
სხვა ხარჯები	(28,041)	-
მოგება საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან, წმინდა	-	7,771,834
საოპერაციო მოგება/(ზარალი)	(41,571)	7,771,834
ფინანსური ხარჯი	(1,219,671)	(2,073,881)
ფინანსური შემოსავალი	1,244,945	2,349,695
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	(16,297)	8,047,648
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-
მთლიანი სრული (ზარალი)/მოგება განგრძობითი ოპერაციებიდან	(16,297)	8,047,648
მოგება შეწყვეტილი ოპერაციებიდან	4,142,601	4,577,380
მთლიანი სრული შემოსავალი	4,126,304	12,625,028

კომპანიამ ხელახლა წარადგინა 2022 წლის სრული შემოსავლის ანგარიშგება და განაახლა ყველა განმარტებითი შენიშვნა, რომელიც დაკავშირებულია 2022 წელს განგრძობითი ოპერაციებიდან წარმოქმნილ ამონაგებთან და გაწეულ ხარჯებთან. შეწყვეტილი ოპერაციების წმინდა შედეგი წარმოდგენილია ყველა საანგარიშო პერიოდისთვის, რომელიც მოცემულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. შეწყვეტილი ოპერაციების შედეგი იხილეთ ქვემოთ.

სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახული შეწყვეტილი ოპერაციების შედეგი:

	2023	2022
ამონაგები	37,923,942	45,513,983
სხვა შემოსავალი	480,404	1,052,335
მარაგის ხარჯი	(18,865,953)	(21,040,689)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(4,853,448)	(8,195,801)
მიწოდების ხარჯები	(1,447,165)	(2,603,208)
ცვეთა და ამორტიზაცია	(970,715)	(1,288,326)
იჯარის ხარჯები	(2,356,059)	(2,687,789)
როიალტის ხარჯი	(1,491,962)	(1,799,239)
სხვა ხარჯები	(4,102,734)	(4,130,706)
საოპერაციო მოგება	4,316,310	4,820,560
საკურსო სხვაობიდან მიღებული ზარალი, წმინდა	(173,709)	(243,180)
მოგება შეწყვეტილი ოპერაციებიდან	4,142,601	4,577,380

სს ვენჯორჯია

მმართველობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ინფორმაცია კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შესახებ მოცემულია ქვემოთ:

	31.12.2023	31.12.2022
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	-	11,622,078
არამატერიალური აქტივები	2,061	615,404
გაცემული სესხები	1,720,907	1,122,833
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11,074,166	-
	12,797,134	13,360,315
მოკლევადიანი აქტივები		
მარაგები	-	3,437,062
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,692,300	3,162,083
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,683	787,742
	1,693,983	7,386,887
სულ აქტივები	14,491,117	20,747,202
კაპიტალი და ვალდებულებები		
კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი	3,069,683	3,069,683
დაგროვილი ზარალი	(4,666,569)	(8,792,873)
სხვა რეზერვი	7,499,732	5,614,148
სულ კაპიტალი	5,902,846	(109,042)
ვალდებულებები		
გრძელვადიანი ვალდებულებები		
მიღებული სესხები	3,066,142	5,583,416
	3,066,142	5,583,416
მოკლევადიანი ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,223,322	4,862,073
მიღებული სესხები	4,298,807	10,410,755
	5,522,129	15,272,828
სულ ვალდებულებები	8,588,271	20,856,244
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	14,491,117	20,747,202

სს ვენჯორჯია

მმართველობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ინფორმაცია ფილიალების საქმიანობის შესახებ

ვენჯორჯიას არ აქვს ფილიალები.

საკუთარი აქციების გამოსყიდვა

კომპანიას 2023 და 2022 წლების განმავლობაში არ გამოუსყიდია საკუთარი აქციები და არც მიმდინარე ეტაპზე გეგმავს ამას.

დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ

კომპანიის მენეჯმენტის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები არ საჭიროებს დამატებით განმარტებებს. აღნიშნული ინფორმაცია განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

ფინანსური, საოპერაციო და სტრატეგიული რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ

- **საკრედიტო რისკი**

საკრედიტო რისკი სს ვენჯორჯიას არ გააჩნია.

- **საბაზრო რისკი**

საბაზრო რისკი სს ვენჯორჯიას არ გააჩნია.

- **ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა**

საბრუნავ კაპიტალში, მიმდინარე აქტივების სიდიდე ნაკლებია მიმდინარე ვალდებულებების სიდიდეზე 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიღებული მოკლევადიანი სესხების გამო. ამასთანავე, ფულადი სახსრების ნაკადები საოპერაციო ნაწილიდან (საპროცენტო ხარჯების გათვალისწინებით) 2023 და 2022 წლებში არის დადებითი და შეადგენდა 5 284 ათას ლარსა და 1 919 ათას ლარს.

- **საოპერაციო რისკი**

საოპერაციო რისკები სს ვენჯორჯიას არ გააჩნია.

- **საბაზრო და სავალუტო რისკები**

საბაზრო და სავალუტო რისკები სს ვენჯორჯიას არ გააჩნია.

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 15 აპრილს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი

გივი გვეტაძე

ფინანსური დირექტორი

არჩილ ჩუბინიძე

სს ვენჯორჯია

მმართველობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ინფორმაცია ფილიალების საქმიანობის შესახებ

ვენჯორჯიას არ აქვს ფილიალები.

საკუთარი აქციების გამოსყიდვა

კომპანიას 2023 და 2022 წლების განმავლობაში არ გამოუსყიდია საკუთარი აქციები და არც მიმდინარე ეტაპზე გეგმავს ამას.

დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ

კომპანიის მენეჯმენტის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები არ საჭიროებს დამატებით განმარტებებს. აღნიშნული ინფორმაცია განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

ფინანსური, საოპერაციო და სტრატეგიული რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ

- **საკრედიტო რისკი**

საკრედიტო რისკი სს ვენჯორჯიას არ გააჩნია.

- **საბაზრო რისკი**

საბაზრო რისკი სს ვენჯორჯიას არ გააჩნია.

- **ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა**

საბრუნავ კაპიტალში, მიმდინარე აქტივების სიდიდე ნაკლებია მიმდინარე ვალდებულებების სიდიდეზე 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიღებული მოკლევადიანი სესხების გამო. ამასთანავე, ფულადი სახსრების ნაკადები საოპერაციო ნაწილიდან (საპროცენტო ხარჯების გათვალისწინებით) 2023 და 2022 წლებში არის დადებითი და შეადგენდა 5 284 ათას ლარსა და 1 919 ათას ლარს.

- **საოპერაციო რისკი**

საოპერაციო რისკები სს ვენჯორჯიას არ გააჩნია.


- **საბაზრო და სავალუტო რისკები**

საბაზრო და სავალუტო რისკები სს ვენჯორჯიას არ გააჩნია.

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 15 აპრილს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი

ფინანსური დირექტორი


გივი გვიტაძე
არჩილ ჩუბინიძე